№2 (7038) 31 იანვარი, შაბათი, 2015 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში 2015 წლის 28 იანვარს გადაცემულ გიორგი ივანიშვილის ექსკლუზიური ინტერვიუს ძირითადი ასპექტები

ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუში, ივანიშვილი მის მიერ ქვეყნის არაფორმალურ მართვასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მსგავსი განცხადებების ავტორებს რჩევა და მართვა ერთმანეთში ერევათ.

„მე ერთხელ უკვე ვუპასუხე მათ და ვუპასუხებ მეორედაც თუ არ ეყოთ, რამეთუ მართვის ბერკეტი არ გამაჩნია... რა აბნევთ მათ? აბნევთ ის, რომ ვერ გაუგიათ რას ნიშნავს რჩევა და ვერ გაუგიათ ის ნდობა, რაც მე მაქვს საზოგადოებისგან. სხვათაშორის, ის, რომ მე საზოგადოების ჭარბი თუ ზედმეტი ნდობა მაქვს, ჩემით მაქვს მოპოვებული და ის არც ალასანიას და არც მარგველაშვილს არ უჩუქებიათ.

„თუ საზოგადოება მოახერხებს მართვას, ხელისუფლება ისეთი იქნება, როგორიც საზოგადოებას სურს“

* * *

მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი ვერ ხედვას საფრთხეს, რომ “ირაკლი ღარიბაშვილს რამე ემუქრებოდეს”.

„ნახეთ როგორი ღირსეული და დროული იყო ჭიკაიძის გადადგომა. უკვე დაფუძნდა სხვა ღირებულებები, სხვანაირი მთავრობა მოვიდა. გაიხსენეთ ხვედელიძის გადადგომა, კირვალიძის გადადგომა. მთავრობამ გაიგო, რომ საზოგადოებას უნდა უსმინოს. სხვა სტანდარტების მთავრობაა დღეს. მე ვერ ვხედავ ვერავითარი აჟიოტაჟის საფუძველს, რაც მედიაში ისმის - ხან ღარიბაშვილს ესხმიან თავს, ხან მთავრობის სხვა წევრებს, როგორ ახერხებენ მიკვირს, მსგავსი არავითარი წარმოდგენა არ გამაჩნია. მთავრობის შეცვლის აუცილებელობას ან მით უმეტეს, ღარიბაშვილს რამე ემუქრებოდეს, ვერ ვხედავ”, - განაცხადა ივანიშვილმა.

...ყოფილი პრემიერის თქმით, მისთვის გაუგებარია, რას ერჩიან მთავრობას. “რას ერჩიან მთავრობას და რა უნდათ?! რა ფუჭდება, ამის მიხედვით უნდა გავაკრიტიკოთ მთავრობა. ავიღოთ გინდათ ენერგეტიკის სამინისტო, გინდათ ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროები, გინდათ ცალკე აღებული პრემიერი. რას უნდა აკეთებდეს და ვერ აკეთებს?! რეალობიდან უნდა გავაკეთოთ ანალიზი”, - აღნიშნა ყოფილმა პრემიერმა.

რაც შეეხება პარლამენტს, ივანიშვილი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს არ ელის, თუმცა, მისი თქმით, გამორიცხულიც არაფერია.

* * *

ექს-პრემიერ მინისტრს არც მოქმედი პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი დაუტოვებია კრიტიკის გარეშე.

„პრემიერზე ვიტყვი განსაკუთრებით, რომელსაც მე დავუტოვე ჩემი თანამდებობა. მისთვის რამდენჯერმე მაქვს ნათქვამი– შენი პრობლემა იქნება შენი ნათესავები და დაცვა და საზოგადოება არ გააღიზიანო არც ერთით და არც მეორითთქო. დაცვა ძალიან აქტურობს და პრინციპში, დღესაც პრობლემა მაქვს, ბიჭებს ყოველ დღე ვახსენებ, რომ უფრო დინჯად მოიქცნენ“, - აღნიშნა ივანიშვილმა.

ყოფილი პრემიერის თქმით, ირაკლი ღარიბაშვილისთვის ერთ-ერთი გამოწვევა იყო ნათესავებიც“.

* * *

მარგველაშვილის მისამართით ივანიშვილის შენიშვნები არავის უკვირს, მაგრამ დღეს პრეზიდენტმა კიდევ ერთი, ახალი შენიშვნა მიიღო.

„უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის საკითხზე არ მაქვს და არც უნდა მქონდეს მოსაზრება. პრინციპულად არ ვერევი ამ პროცესში. ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა, მან უნდა დაასახელოს. ზედმეტად წევს თამასას პრეზიდენტი ისევ. შემიძლია ახალი შენიშვნა მივცე, რომ მიეჩვია და დააფუძნა ტერმინი „ქვეყნის პირველი პირი“. საზოგადოებაც, მთელი მედია ამას იმეორებს. ეს შინაარსში უნდა გადაიტანოს. ფორმალურად მართლა ასე იწოდება– სახელმწიფოს მეთაური, მაგრამ კონსტიტუციით, მას რეალურად აღარ აქვს საპრეზიდენტო რესპუბლიკის მქონე პრეზიდენტის უფლებები, თუმცა ცდილობს შინაარსში გადაიყვანოს ეს და ძალიან მაღლა წევს თემებს“, –განაცხადა ივანიშვილმა.

* * *

ივანიშვილის თქმით, მკვლელობები ამერიკაშიც ხდება, საფრანგეთშიც, გერმანიაში და სხვა ქვეყნებშიც.

„კი მაგრამ, სად გვაქვს საფუძველი, რომ კრიმინალის ზრდაზე ვისაუბროთ?! მოხდა მკვლელობები, ეს კატასტროფაა და ცუდია, თუმცა, ასეთი შემთხვევები მომავალშიც მოხდება (სანამ ადამიანის ხასიათი არ შეიცვლება)“.

ექსპრემიერი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დანაშაულის სტატისტიკასაც აფასებს და მიიჩნევს, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ საზოგადოება ამ მონაცემებს არ ენდოს.

„ჩვენ შეგვიძლია დავსვათ კითხვა: პოლიცია დღეს უფრო სუსტია, ვიდრე ადრე? სამართალდამცველების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა დაუჯერებელია? მდგომარეობა გაუარესდა და საქართველო კატასტროფისკენ მიექანება? არავითარი საფუძველი არ არსებობს დღეს, რომ, მაგალითად, თქვენ არ ენდოთ შსს-ს სტატისტიკას. გასაგებია, რომ ივლისი დანაშაულის კუთხით ცუდი იყო, მაგრამ წინა წლებთან შედარებით მაინც კლებაა დაფიქსირებული. ზუსტად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაგეგმა ეს (თემის აჟიტირება), „ასწია“ „რუსთავი 2“-მა და სხვა ტელევიზიებიც ამ ფერხულში არიან ჩაბმული. არადა, მთავრობის დამოკიდებულება არ შეცვლილა - შს სამინისტრო და პოლიცია ზრუნავენ ადამიანების დაცვაზე, თითქმის ყველა მკვლელობის საქმე გახსნილია... სიცრუის მანქანა დღესაც მუშაობს. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, თუ არ ვცდები ჯაფარიძე, თურმე მესამე ღია წერილით მომმართავს (პირველი ორი მე „საუბედურად“ არ მინახავს). წერილში წერს, რომ თავის დროზე, პოლიტპატიმრები რომ გამოუშვეს ციხიდან, თურმე ჯერ მაშინ მიკითხავდა ლექციებს, რომ ეს არ შეიძლება. საუბრობს ციხიდან გამოსულ 17 ათას პატიმარზე. მათ ამით იმის გამართლება უნდათ, რომ 17 000 კაცი უკანონოდ ჰყავდათ დაპატიმრებული...“,- განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

ივანიშვილის განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აძლევს ხელს საქართველოს მთავრობის დაბალანსებული პოლიტიკა უკრაინის მოვლენებთან მიმართებაში და მათი ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, არაა გამორიცხული, უკრაინის ომში საქართველოც ჩართულიყო.

„ღმერთმა ნუ ქნას, რომ ის გაგრძელდეს, რაც ხდება უკრაინაში. მე დიდი იმედი მაქვს, რომ უახლოეს დროში დალაგდება და დარეგულირდება ყველაფერი. რა თქმა უნდა, საშინელებაა, რაც უკრაინაში ხდება. ჩვენ, ყველანი და მე პირადად მხარს ვუჭერთ ჩვენს მეზობელ ქვეყანას, უკრაინას, ვისურვებდი, სწრაფად დამყარდეს იქ მშვიდობა და უკრაინა ჩვენთან ერთად გახდეს ევროკავშირის წევრი. რაც შეეხება იმას, ადეკვატურად შეაფასა თუ არა საქართველოს მთავრობამ უკრაინის მოვლენები. ჩემი აზრით, აბსოლუტურად ნორმალურად შეაფასეს.

„ეს წელი მაინცდამაინც დალხენილი არ იქნება“-ღარიბაშვილის მწარე ხიმართლე ივანიშვილის განცხადებების შემდეგ

ეს წელი მაინცდამაინც დალხენილი არ იქნება და ჩვენ კიდევ უფრო გაათმაგებული მობილიზებით უნდა შევხვდეთ გამოწვევებს. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერმა აღნიშნა იმ ნეგატიური პროცესების შესახებ, რომელიც მსოფლიოში მიმდინარეობს და მთავრობის წევრებს მეტი მობილიზებისკენ მოუწოდა. ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილმა ეკონომიკურ გუნდს მიმართა, რომ ყოველი თვის დასაწყისში მთავრობის სხდომაზე წარმოადგინონ ანგარიში იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება ბიუჯეტი.

2

კონკურსის მესამე ეტაპი დამთავრდა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს აპარატის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საჯარო კონკურსების მესამე ეტაპი–გასაუბრება. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-სააატესტაციო მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც შვიდი წევრისგან შედგება კონკურსანტებს 24 იანვრიდან 1 თებერვლის ჩათვლით გაესაუბრება. კონკურსის მესამე ეტაპზე სულ 177 კანდიდატი იყო დაშვებული.

„ეს წელი მაინცდამაინც დალხენილი არ იქნება“-ღარიბაშვილის მწარე ხიმართლე ივანიშვილის განცხადებების შემდეგ

„ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია ყოველი თვის ბოლოს, მაგრამ მე მინდა, რომ კიდევ ერთხელ ეს საკითხი დავაფიქსიროთ, ვიცი, რომ გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილია სამუშაო ჯგუფები, თვითონ გადიხართ ხარჯვით ნაწილს, ყველგან ეფექტურად უნდა დავხარჯოთ და დიდი მობილიზება უნდა მოვახდინოთ ჩვენი სამინისტროების. ეს წელი არ იქნება მაინცდამაინც დალხენილი წელი, გამომდინარე იქედან, რომ მსოფლიოში გარკვეული ნეგატიური პროცესები მიმდინარეობს. ამიტომ ჩვენ კიდევ უფრო გაათმაგებული მობილიზებით უნდა შეეხვდეთ ამ გამოწვევებს“.

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე უწყება არგუმენტების გარეშე ვერ მოახდენს თანხების ათვისებას, ან ეფექტურად გახარჯვას, პრემიერ-მინისტრი გამოდის ინიციატივით, ეს თანხები მიმართული იქნას სარეზერვო ფონდში და გამოიყენონ სხვა უწყებებისთვის და სხვა მიმართულებით მიზნობრივად.

პრემიერმა ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურისგან მოისმინა ინფორმაცია, თუ როგორ სრულდება მიმდინარე წლის ბიუჯეტი.

„ანუ ორი დღის განმავლობაში გეგმის შესასრულებლად ჩვენ გვჭირდება 21 მილიონი ლარი. საშუალოდ დღეში 30 მილიონ ლარამდე გადასახადები შემოდის. თავისთავად ცხადია, რომ ეს აღემატება შარშანდელ მონაცემებსაც, –განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ამასთან, ხადური იზიარებს პრემიერის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ წელს ძალიან დაძაბული წელი გვექნება და აქ საუბარია ზოგადად ეკონომიურ მდგომარეობაზე მსოფლიოში და არა მარტო საქართველოში. თუმცა, ფინანსთა მინისტრის თქმით, შემოსავლების სამსახური ყველაფერს აკეთებს და ყოველგვარი ზედმეტი ხელის გადაგრეხვის პოლიტიკის გარეშე ბიუჯეტი სრულდება და შესრულდება. ამასთან, ნოდარ ხადურმა მზადყოფნა გამოთქვა, რომ ყოველი თვის დასაწყისში მთავრობის პირველივე სხდომაზე სამინისტროების ხარჯვითი პოლიტიკის შესრულებაზე ანგარიში წარმოადგინოს.

სკოლაში მხოლოდ ექვსი წლის ბავშვებს მიიღებენ

2014-2015 წელს კანონში იყო დაშვება, რომლის თანახმადაც სკოლაში შეიძლებოდა შესულიყვნენ ბავშვები, რომელთაც 6 წელი 1 იანვრამდე უსრულდებოდათ, ან გავლილი ჰქონდათ მოსამზადებელი საფეხური და მათი ასაკი აღემატებოდა 5 წელს. 2015 -2016 წლიდან კი სკოლაში მხოლოდ 6 წლის ბავშვები შევლენ.

„ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით სწავლის დაწყების მომენტისათვის ბავშვის ასაკი 6 წელი უნდა იყოს“,- განათლების სამინისტროს განათლების მართვისა და დეპარტამენტის უფროსის ნინო კვიტიაშვილის განმარტებით, ცვლილებები არ განხორციელებულა.

განათლების სამინისტროში განმარტავენ, რომ სასწავლო წლის დაწყებისთვის ბავშვი ექვსი წლის უნდა იყოს და გამონაკლისი არ დაიშვებაბ ეს ვრცელდება როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებზე.

სოფლის მეურნეობა

დაუმუშავებელი მიწის მფლობელებს გადასახადები გაეზრდებათ?!

თებერვლიდან მცირემიწიან ფერმერებს დაურიგებენ ბარათებს, რომელთა საშუალებითაც ისინი სავარგულების დამუშავებას უფასოდ შეძლებენ. ამით დასრულდება სამეტაპიანი სამთავრობო პროგრამა, რომელიც მცირემიწიანი ფერმერების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. ამის შემდეგ მთავრობა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ ეტაპზე გადავა, რომლის ფარგლებშიც დაუმუშავებელი ფართობების მფლობელებს, შესაძლოა, გადასახადები გაეზარდოთ.

ოთარ დანელია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი: „მცირემიწიანი ფერმერების საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში მონაწილეობას 800 ათასი ბენეფიციარი მიიღებს. მათ, ისევე, როგორც გასულ ორ ეტაპზე, ხვნის ბარათები და აგრობარათები გადაეცემათ, რისთვისაც დაახლოებით 60 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

ხვნის ბარათით 1 ჰა ფართობზე 140 ლარია გათვალისწინებული, აგრობარათზე დარიცხული ქულები კი 50 ლარის ეკვივალენტურია.

ამით დასრულდება მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის სამწლიანი პროგრამა. ამ პროგრამის დამსახურებაა, რომ გლეხს დაუბრუნდა მუშაობის სტიმული და ორ-სამჯერ მეტი ფართობები დამუშავდა. ფაქტობრივად, სავარგულები მიტოვებული იყო, რადგან გლეხს ამისთვის არც ფინანსური რესურსი ჰქონდა და არც ტექნიკური საშუალებები. ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი გახდა პროგრამის ამოქმედების შემდეგ, შედეგად, საქართველოში დაახლოებით 400 ათასი ჰექტარი მიწა დამუშავდა, მაგრამ ახლა იმ დანარჩენ 350 ათას ჰექტარს უნდა მივხედოთ, რომელიც სხვადასხვა მიზეზით მაინც არ მუშავდება. ფაქტობრივად, ეს მიძინებული რესურსია და სწორედ ეს გარემოება გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ფიქრი დავიწყეთ, როგორ შე ვძლოთ დაუმუშავებელი ფართობების ათვისება.

ეს არ შეეხება მცირემიწიან გლეხებსა და ფერმერებს, ვისაც 5 ჰექტრამდე ფართობი აქვს. საუბარია მიწის გაცილებით ვრცელ მასივებზე, რომლებიც დარგისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია და მიზეზთა გამო დაუმუშავებელია.

ჩვენ დეტალურად გავაანალიზეთ, რა მაჩვენებლები, პოტენციალი გვაქვს სოფლის მეურნეობაში, იმპორტ-ექსპორტის ბალანსის შესაძლებლობები, სასურსათო უსაფრთხოების კომპონენტები და ამ კალათაში შემავალი პროდუქტები და სხვ. თუმცა, ამ ყველაფრის სისრულეში მოყვანა მიწის დაუმუშავებლად, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მესამე წელია მიწის დამუშავების ხელშეწყობის პროგრამას ვახორციელებთ და მაინც, ფართობების მესამედი დამუშავებული არ არის. ამიტომ მიწის დამუშავება უნდა წავახალისოთ.

ანუ სანქციები, ჯარიმები დაეკისრება მას, ვინც მიწას არ დაამუშავებს?

–არსებობს საერთაშორისო პრაქტიკა, მათ შორის ევროპის ქვეყნებში საკმაოდ ეფექტურად მუშაობს ასეთი წამახალისებელი მიდგომები: ვინც ამუშავებს მიწას, ნაკლებ გადასახადს იხდის, ვინც არ ამუშავებს - მეტს.

თანაბარ პირობებში არ უნდა იყოს ის მოქალაქე, ვინც სავარგულებს ეკონომიკური საქმიანობისთვის იყენებს და ის, ვისაც შესაძლოა, ნანახი არ ჰქონდეს საკუთარი მიწა. ჩვენ შევთავაზებთ მათ, ან დაამუშაონ სავარგულები, ან იჯარით გასცენ, ანდა, სულ ცოტა, მოვლილ აგრარულ მდგომარეობაში ჰქონდეთ, რომ მომიჯნავე ნაკვეთები არ დააზიანონ. რა თქმა უნდა, იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შესაძლოა ტექნოლოგია ითხოვს მიწის დასვენებას ერთი-ორი წლით და ამის მონიტორინგი ძალიან მარტივია.

ფიქრობთ, რომ მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის სამწლიანი პროგრამა საკმარისი იყო იმისთვის, რომ ამიერიდან თავად დაამუშაონ მიწა და აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია?

–ყოველი წლის შეჯამებისას განვიხილავთ, რა შეიძლება გაკეთდეს მცირემიწიანი ფერმერების ხელშეწყობისთვის. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი კოოპერაცია და მიწის ფართობების გაერთიანებაა, რათა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება უფრო რენტაბელური გახდეს. სხვადასხვა ეტაპზე ჩვენ შეიძლება ამა თუ იმ სამთავრობო პროგრამას რაღაც კომპონენტი მოვაკლოთ, მაგრამ ვამატებთ სხვა მიმართულებით. უკვე ამოქმედდა აგროდაზღვევა, ვნერგავთ სეტყვაწინააღმდეგო სისტემას, გვაქვს სხვა პროექტებიც. მაგალითად, დავიწყებთ სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობების სტიმულირებას, რათა შესაძლებელი იქნეს პროდუქციის დასაწყობება და დანაკარგი მინიმუმამდე დავიდეს. დღეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის არასწორად შენახვის გამო პროდუქციის დაახლოებით 30%-ს ვკარგავთ.

რა შედეგებით დაბრუნდით ბერლინიდან, სადაც საქართველო მონაწილეობდა საერთაშორისო გამოფენაში „მწვანე კვირეული 2015“?

–უპირველესად ველოდებით თანამშრომლობის გაღრმავებას. მაგალითად, ახლა ქართული კივი გადის ევროპაში, საქმიანი მოლაპარაკება გვაქვს თაფლისა და თევზის გატანის თაობაზე. ევროპის ბაზარზე დიდია მოთხოვნა ქართულ ყველზე და ახლა ტექნიკურ საკითხებზე ვმუშაობთ. ბერლინში პირველი ღვინის გალერეა გავხსენით. ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა ქართულმა პავილიონმა გამოფენაზე, რომელსაც დაახლოებით 500 ათასი სტუმარი დაესწრო. გერმანულმა მხარემ შემოგვთავაზა, მომავალი „მწვანე კვირეულის“ ფარგლებში, მათი პარტნიორი ქვეყანა გავხდეთ. ასეთი მასშტაბის ღონისძიებები საუკეთესო საშუალებაა ჩვენი მეწარმეების პროდუქციის წარმოსაჩენად.

გაზეთი „კვირის პალიტრა“ იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ქალაქში წყალმომარაგების სისტემა მთლიანად შეიცვლება

ქ. ხობში სასმელი წყლით მომარაგება წლების განმავლობაში მოუწესრიგებელი იყო. გასული წლის ბოლოს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ „მუნიციპალური განვითარების ფონდისა“ და „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან“ ერთად დაიწყო წყლის მილების რეაბილიტაციის სამუშაოები.

–წელს შესრულდება 2 მილიონ 749 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, ქალაქში არსებული წყალმომარაგების სისტემის 80 პროცენტი ახლით შეიცვლება გვითხრა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების ხობის სერვისცენტრის მენეჯერმა ბატონმა ხვიჩა კაკაბაძემ. გორგასლისა და ბარათაშვილის ქუჩებზე ეს სამუშაოები თითქმის დამთავრებულია.

ამჟამად სამუშაოები 26 მაისის, გუბაზ მეფის ქუჩებსა და პირველ გურიფულში მიმდინარებს.

ამ პროექტის დამთავრების შემდეგ ქ. ხობის წყალმომარაგების საკითხი გადაწყვეტილი იქნება.

ასფალტო–ბეტონის დაგება გრძელდება

გასულ წელს ტენდერში გამარჯვებული შპს. „შარა გზამშენი პირველი“ გზის ასფალტო-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოებს ასრულებს გორგასლისა და ბარათაშვილის ქუჩებზე. ბარათაშვილის ქუჩაზე ეს სამუშაოები 2 კმ-ზე უკვე დასრულებულია. გორგასლის ქუჩაზე 3,1 კმ-ზე კი ამჟამად გაგრძელდება, აქედან 900 მეტრზე ბეტონი დაიგება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამუშაოების შესრულების ხარისხს.

ამასწინათ რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი ამაშუკელმა, რომელსაც თან ახლდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის რწმუნებული ლევან შონია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, გამგებლის მოადგილე ვარაზ, გაბედავა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ზაზა ბუკია და სხვები, მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს. ითქვა, რომ ეს სამუშაოები პირველ მარტამდე უნდა დამთავრდეს.

მერი ლაგვილავა

საკრებულოს სხდომის ანგარიში

23 იანვარს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა. სხდომას ესწრებოდნენ: გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს, გამგეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელები.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სხდომაზე განხილულ და მიღებულიქნა „ხობის მუნიციპალიტეტის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირების შესახებ“ დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, „პაპანწყვირის“ ტბასთან გზაზე (გზის დასაწყისი-თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის გადაკვეთასთან და გზის დასასრულში–„პაპანწყვირის“ ტბასთან შესასვლელი გზის გადაკვეთაზე) განთავსდება 2 ცალი ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.11. „მასის შეზღუდვა“ (მინიშნებით „ 8 ტონა)და დაევალა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას ამ დადგენილებით გათვალისწინებული საგზაო ნიშნების განთავსებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება 30 დღის ვადაში.

შემდეგ საკითხად სხდომაზე განხილულ და მიღებულიქნა განკარგულება „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ასევე განხილულიქნა „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნების განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი და საკრებულოს განკარგულებით მიეცა თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნების კვარტალური განწერის თაობაზე.

საკრებულოს განკარგულებით ასევე მიეცა თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სარგებლობის უფლების გადაცემაზე.

სხდომაზე ბოლო საკითხად მოსმენილიქნა საკრებულოს თავმჯდომარის ედიშერ ჯობავას ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტის 2012–2013 წლების ფინანსური და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ, საკრებულოს წევრებს, დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხების ფორმატში წარუდგინა ინფორმაცია სოფლის მეურნეობაში განხორციელებული პროექტების შესახებ, რომლებიც სტიმულის მიმცემია გლეხების, ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის დარგში ჩართული მეწარმეებისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ხობს მეორე სასწრაფო დახმარების მანქანა ეკადასცეს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მთელი ქვეყნის მაშტაბით აგრძელებს სასწრაფო დახმარების ცენტრის ავტოპარკის სასწრაფო-სამედიცინო წესით აღჭურვილი ავტომობილებით განახლებას. 13 იანვარს ხობის მუნიციპალიტეტს გადაეცა „Ford“-ის მარკის ავტომობილი, ამჟამად ხობის სასწრაფო დახმარების ცენტრს „ემსახურება „ახალი, „volkswagen“-ის და Ford-ის მარკის ავტომობილი. სასწრაფო დახმარების ავტოპარკი ქვეყანის მასშტაბით მთლიანად განახლდება 180 მაღალი გამავლობის ავტომობილით.

სამეგრელოს 4 ქალაქში უფასო სამედიცინო კონსულტაციები ჩატარდა

22-23 იანვარს ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალის ინიციატივით და „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ორგანიზებით ხობის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის რაიონულ ჰოსპიტალებსა და ფოთის ამბულატორიულ კლინიკაში მოსახლეობას უფასო სამედიცინო კონსულტაციები ჩაუტარეს.

ადგილობრივ მოსახლეობაში კარდიოლოგიური პროფილის პაციენტებს ადგილზე კონსულტაციები „ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალის“ წამყვანმა კარდიოლოგებმა 23 იანვარს ხობის რაიონული ჰოსპიტალში ჩაუტარეს.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციები

გზა სურვილიდან შესაძლებლობამდე

უპირველესად მინდა მივულოცო გაზეთს ახალი 2015 წელი. განსაკუთრებული რა უნდა ვუსურვო მას, თუ არა წარმატების მეკვლეობა ან წარმატებული საქმიანობის მეგზურობა.

ვინაიდან საშუალება მეძლევა კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ჭრილიდან ვისაუბრო ამ სფეროზე. ნება მომეცით, მკითხველთათვის მცირე ექსკურსით განვიხილო გასული 2014 წელს განხორციელებული თუ განხილული საკითხები, რომელმაც 2015 წლის დაგეგმვისა და შემდგომი გათვლის საშუალება მოგვცა.

ნებისმიერი საკითხი, რომელიც ამ სფეროში გადაიდგმება, არის ძველისა და ახლის ერთობით საუკეთესო მონაცემთა შენარჩუნება, ამავდროულად, აბსოლისტურად ახალი ხედვის განვითარება.

გაზეთის ინტერესი, თუ რა კუთხით ავითარებს საკუთარ სტრატეგიას კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, ეს არის ერთგვარი ტესტი ადგილობრივი ხელისუფლების ხედვის, რომელიც გამოიხატება არა, როგორც ცალკე აღებული ერთეული, არამედ ჩვენი ცნობიერების, ეროვნული კულტურის, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალაქო ნების გამოხატვის საშუალება.

2014 წლის განმავლობაში განხორციელებული ნებისმიერი პროექტი თავისთავად ახალი საინტერესო დღეა. 2014 წელმა კი თავი ისეთი მნიშვნელოვანი პროექტით დაგვამახსოვრა, როგორიცაა–წმინდა ილია მართლის პროზა–პოეზიის ნომინანტთა სტუმრობა ხობში, ხობის მონასტრიდან ღვთისმშობლის კვართის გზის გავლა–ზუგდიდის მუზეუმამდე და ცოტნე აღმსარებლის საგანმანათლებლო ცენტრში რელიგიური თემატიკის პროზის, პოეზიის, მხატვრობის წარმოჩენა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან წარმოდგენილი შემოქმედი ადამიანებისა.

ხობი ყოველი წლის აგვისტოში, მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით ამ პროექტის უცვლელი პარტნიორი გახდა. ისევე, როგორც ჩვენი სამსახურისა და ფოთისა და ხობის ეპარქიის ერთობლივი ძალებით მარიამობის დღესასწაულის დღეებში ტრადიციად დამკვიდრდა კვირეული სახელწოდებით „ღვთისმშობლის კალთის ქვეშ“, რისთვისაც კიდევ ერთხელ მინდა გამოვხატო მადლიერება ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ მეუფე გრიგოლისადმი.

2015 წელს აქცენტი კეთდება არა ერთდღიან პროგრამებზე, არამედ წლებზე გათვლილ პროექტებზე, რომელიც ხობში დარჩება და ნებისმიერ წელს, სფეროს ერთგვარ კალენდრად იქცევა.

ამიტომაც, როდესაც რეგიონული განვითარების ფონდისთვის წარსადგენ პროექტებზე დავიწყეთ ერთობლივი მუშაობა, პრიორიტეტად ნებისმიერი ხობელისათვის მშობლიურ ადგილთან, კულტურასთან ასოცირებულ შენობაზე–ხობის კულტურის სახლზე გაკეთდა აქცენტი.

ჩვენგანისთვის ხობის თეატრად წოდებული შენობა, ათეულობით წელია ელოდება რეალურ რეკონსტრუქციას, რამდენიმე წლის წინ მომხდარმა ხანძარმა, შემდგომ ნაწილობრივმა გადახურვამ, ეს უნიკალური შენობა იმ მდგომარეობამადე მიიყვანა, რა მდგომარეობაშიც ახლაა. ნებისმიერ ჩვენთაგანი ფიქრობდა და ფიქრობს, რომ მას აუცილებლად შველა სჭირდება.

აღნიშნული პროექტი, რომლის პირველი ეტაპი 2015 წელს განხორციელდება, ხოლო რეკონსტრუქცია საბოლოო სახით დამთავრდება 2016 წელს. ეს კულტურის სფეროსთვის ახალი, განახლებული სიცოცხლის დასაწყისია, რაც კულტურის სფეროს განვითარებისა და ამ სფეროშივე საგანმანათლებლო სისტემის ამუშავების საშუალებას მოგცემს.

ძალიან ბევრი გვეკითხება–რა სახით მიიმართება ჩვენი პროგრამული მიდგომა?

ჩვენი პროგრამული მიდგომა მოიცავს, როგორც სამსახურის შიდა სამუშაო წლიურ გეგმას, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო, პროფესიული განათლებისა და სპორტული ცენტრების გაძლიერებას. ტრადიციული, ჩვენი კუთხისთვის დამახასიათებელი კულტურული ინსტიტუციების შენარჩუნება-აღდგენას. პროექტის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას გაეცნობით „ხობის მოამბის“ უახლეს ნომერში, სადაც მკითხველს საშუალება მიეცემა სრულად გაეცნოს ადგილობრივი ხელისუფლების ხედვას, თუ როგორ ხდება მიზნობრივი თანხვედრა კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის გათვლილი ინფრასტრუქტულ პროექტების შემუშავებისას, რამაც პირველი შედეგები უკვე მოგვცა.

ხობის კულტურის სახლის რეაბილიტაციისათვის გამოიყო 800.000 ლარი. სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდება.

ხობის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა ყოფილი ახალგაზრდული ცენტრის „თუთარჩელას“ შენობა. ამ შემთხვევაშიც მოხდა პრიორიტეტების სწორი გათვლა. უახლოეს მომავალში შენობის რეკონსტრუქციით ხობში ჩვენი წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მრავალწლიანი მოთხოვნა, ჰქონოდათ თავშესაფარი, არ ყოფილიყვნენ დაფანტულები სხვადასხვა შენობებში, სკოლებში არათუ დაკმაყოფილდება, მეტიც–შენობის რეკონსტრუქციის შემდგომ აქ კომპლექსურად შეიქმნება სპორტის სახეობებისთვის შესაბამისი პირობები, რის უქონლობაც წლებია უამრავ პრობლემაც ქმნის, მოეწობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზები და მიმართულებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა.

ეს მცირე მასალა ნამდვილად ვერ დაიტევს სათქმელს, რომელიც მკითხველისათვის დაგვიგროვდა, მოსახლეობა სხვადასხვა საინფორმაციო სივრციდან ადევნებს თვალყურს, ესწრება ან მონაწილეობს ხობის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ კულტურულ- საგანმანათლებლო, სპორტულ ღონისძიებებში და რადგანაც ამ საგაზეთო სტატიის ფორმატი არ მოიცავს ჩვეულებრივ წლიურ ანგარიშს, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური გეგმავს „ხობის მოამბის“ ყოველ ნომერში–მკითხველებს მოუყვეს, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა სფეროს განვითარების თვალსაზრისით.

2015 წელი ვფიქრობთ წარმატებულად დაიწყო, რადგან ხობში, ფოლკლორის ეროვნული ცენტრისა და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი პროექტით გაიხსნა სალოტბარო სკოლა, სადაც ბავშვთა ანსამბლში, 6-დან 15 წლამდე მოსწავლეები მიიღებიან, ხოლო 15-დან ზევით სალოტბარო სკოლაში მიიღებიან მსურველები. სკოლაში სწავლება განხორციელდება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სპეციალური პროგრამით, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ანზორ ერქომაიშვილისა და ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი დონაძის ხელმძღვანელობით შემუშავდა. სალოტბარო სკოლაში შეისწავლება ქართული ტრადიციული გალობა და ხალხური სიმღერები. სწავლის ხანგრძლივობა 2 წელია. სწავლის დამთავრების შემდეგ ფოლკლორის სახელწიფო ცენტრის მიერ გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი, ხოლო წარჩინებული მოსწავლეები ჩაირიცხებიან თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში, სადაც სწავლა ასევე უფასოა.

ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული (მეგრული სიმღერების სახლმუზეუმი

გაზეთის საშუალებით მსურს მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ადგილობრივი ხელისუფლების ხედვას მხარი დაუჭირა. განსაკუთრებული წვლილისთვის ხობის მაჟორიტარ დეპუტატს საქართველოს პარლამენტში ბატონ გოდერძი ბუკიას. მისმა ძალისხმევამ ხობს ჩამოუყალიბა თავისთავადი ნიშა–ხობის საერთაშორისო ფესტივალის სახით, შესძინა ქართულ კულტურას ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული (მეგრული) სიმღერის მუზეუმი, რომელსაც სალოტბარო სკოლისთვის ასევე განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, ვინაიდან, ქართული ფოლკლორის გადარჩენის სათავეებთან მდგარი, შემოქმედი ადამიანების ცხოვრება და მოღვაწეობა- სწორედ რომ ამ უნიკალურ მუზეუმშია თავმოყრილი და სალოტბარო სკოლის დაფუძნებაც, მისი მხარდაჭერა ამ მამულიშვილური საქმის გაგრძელებაა.

მინდა მივმართო ერთგულ მკითხველებს, აქტიურად ჩაერთონ და გახდნენ თანამონაწილეები ამ ეროვნული წამოწყების და მათ, ვისაც უფალმა დაანათლა სიმღერის ნიჭი, მისცა ხმა და ამ ხმას სწორი გზის მისაცემად აქვს შესანიშნავი საშუალება, მაქსიმალურად გამოიყენოთ თქვენ და მიაწოდოთ ინფორმაცია, ყველა ამ ნიჭით დაჯილდოებულ ხობელს.

სალოტბარო სკოლის შექმნა საწყისია კიდევ მრავალი საინტერესო წინადადების, რომელთა შორის პირველი უკვე გამოიკვეთა–ფოლკლორის ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელის ქართული ზეპირსიტყვიერების ამაგდარი მოღვაწის ეთერ თათარაიძის უშუალო ხელმძღვანელობით, ადგილობრივ დონეზე სამსახურისა და კულტურის ცენტრის კოორდინირებით მზადდება პროექტი, რომლის ფარგლებში ხობი გახდება ჩვენი კუთხის ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შემკრები და ფოლკლორის მასშტაბური საღამოების მასპინძელი. ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია მუშაობა პროექტის საწყის ეტაპზე, რაც ხობის მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში მასალების მოძიებაში გამოიხატება.

ამ პროექტში აუცილებელია „ხობის მოამბის“ ჩვეული, პროფესიული ჩართულობა, რომ ჩვენ ერთად მოვიძიოთ ის მასალები, რომელიც შესაძლოა ინახება ოჯახებში, ინახავს მხცოვან ხობელთა მეხსიერება, ამიტომაც თებერვალი- მარტი -აპრილი მიჩნეულია პირველ სამუშაო ეტაპად.

წარმატებებს ვუსურვებ გაზეთის მკითხველებს, ჟურნალისტებს, თითოეულ ხობელს, მისცემოდეს საშუალება მაქსიმალურად დაიხარჯოს იმ ადგილისთვის, ყველა ჩვენგანისათვის რომ ადგილის დედაა და ჩვენგან ზუსტად იმგვარ ხობელობას ითხოვს, ერთ ჩვეულებრივ ხობელს რომ შეუძლია გადადგას–სურვილიდან შესაძლებლობამდე.

როზეტა შულაია,
ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.

ინტერვიუ

„მუდამ ჩემი ხალხის სამსახურში ვიყავი“

ნომრის სტუმარია საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ბიუროს ხელმძღვანელი ბატონი რევაზ წულაია

ბატონო რევაზ! ჯერ კიდევ ადრეული წლებიდან ჩვენი გაზეთის ქომაგი ბრძანდებით. რედაქციელებმა თქვენთან საუკეთესო სურვილები დამაბარეს, მინდა გულწრფელად წარმატებები, ჯანის სიმრთელე, ულევი სიხარული გისურვოთ.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა კარგად გიცნობთ, რადგან წლების განმავლობაში იყავით ხელმძღვანელ სამუშაოებზე. როგორ მოიგონებთ თქვენს მიერ განვლილ წლებს, რას იტყვით ოჯახზე, შვილებზე, რა მიგაჩნიათ ყველაზე დიდ ბედნიერებად და ადამიანის უპირველეს დანიშნულებად?

–დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ მოლოცვისთვის, მეც როგორც მუნიციპალიტეტის გაზეთის ერთ-ერთმა დიდმა გულშემატკივარმა, მსურს ცოტა დაგვიანებით მოგილოცოთ უკვე დამდგარი შობა-ახალი წელი. ეს წელი ყოფილიყოს თქვენი პატარა კოლექტივისთვის წარმატებული, მეოთხე ხელისუფლების რანგში მუნიციპალიტეტის განვითარებაში თქვენი ღირსეული ღვაწლი შეგეტანოთ.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მართლაც საკმაოდ მიცნობს, რადგან სამ ათეულ წელზე მეტი პედაგოგობიდან დაწყებული სხვადახვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მიმუშავნია. ჩემი ყოველი თანამდებობა თავისი სპეციფიკით ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, მაგრამ საერთოც ჰქონდა–მუდამ ჩემი ხალხის სამსახურში ვიყავი.

მიუხედავად ჩემი მუშაობის გარკვეულ პერიოდში არსებული სიძნელეებისა, განსაკუთრებით ეს ეხება 90-იან წლებში ქვეყანაში არსებულ ურთულეს მდგომარეობას, ჩემს მიერ განვლილ გზას, დიდი სიამოვნებით ვიხსენებ, რადგან ამ წლების განმავლობაში მე გავხდი ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიის განუყოფელი ნაწილი.

რაც შეეხება ჩემს ოჯახს, მყავს შესანიშნავი მეუღლე, ვაჟიშვილი, რომელსაც ქალაქში „ბუბუს“ სახელით იცნობენ, რძალი და ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში ახალი სტიმულის შემომტანი საყვარელი შვილიშვილები რეზი და ლიზი.

ალბათ, დიდი ბედნიერებაა, როცა ხალხს უყვარხარ მათთვის გაწეული ამაგის გამო და ამავდროულად გყავს ოჯახი, რომლითაც შეგიძლია იამაყო.

ადამიანის უპირველეს მოვალეობად მიმაჩნია სამშობლოსა და მოყვასის სიყვარული, უანგარო მადლისა და სიკეთის კეთება.

ვცადეთ, მაგრამ გვერდი ვერ ავუარეთ განვლილ სამსახურებრივ გზას. სად გრძნობდით თავს ლაღად?

–ნებისმიერი ადამიანი თავს ლაღად გრძნობს, როცა მის ცხოვრებაში თავისუფლების ხარისხი მაღალია, როცა მეტი დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება გააჩნია. აქედან გამომდინარე, მე დიდი სიამოვნებით ვიხსენებ იმ წლებს, როცა ჩემმა მშობლიურმა სოფელმა ნოჯიხევმა. პატივი დამდო და სამჯერ ამირჩია სოფლის გამგებლად, ხუთჯერ კი მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატად. მე სიამაყით ვიხსენებ იმ წლებს, როცა ეროვნული მოძრაობიდან მოსულ ახალგაზრდას სოფელმა ნდობა გამომიცხადა და ამირჩია სოფლის თავკაცად. ჩვენ ერთად გამოვიარეთ უმძიმესი წლები, სამოქალაქო ომი, მხედრიონის შემოსვლა, უპურობა, უშუქობა, კრიმინალის ზრდა, განუკითხაობა. მაგრამ ერთმანეთის გვერდით ვიდექით და ყველა გასაჭირი ერთად დავძლიეთ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩემი სოფლის თითოეულ ოჯახს ამ ერთიანობისთვის.

მახსოვს, მუდმივად თავს არიდებდით ჟურნალისტებთან ურთიერთობას, თითქოს რაღაცის თქმა გინდოდათ და დროს ელოდებოდით, დადგა ეს დრო თუ კიდევ „მომლოდინეს“ რეჟიმში ხართ?

–მუდმივად არა, მაგრამ ჟურნალისტებთან ურთიერთობაში ვაკუუმი გარკვეული დოზით მართლაც იყო. ამას რამდენიმე ახსნა შეიძლება მოეძებნოს. უმთავრესი მაინც იყო ის დრო, როცა ერთს ფიქრობდი, მაგრამ ქვეყანაში და მუნიციპალიტეტში დანერგილი მართვის სტილის გამო, მეორე აზრის გამოთქმა გიწევდა. ეს, რა თქმა უნდა, დისკომფორტს და შინაგანი პროტესტის გრძნობას იწვევდა, ამიტომ ადვილი ასახსნელია ჩემი ნაკლები აქტიურობა მასმედიასთან ურთიერთობაში. ამჟამად „დრო“ შეიცვალა, ქვეყანაში დემოკრატიის დონე მაღალია, რაც, ალბათ, ჟურნალისტებთან, ჩემს შემდგომ ურთიერთობებში ასახვას პოვებს.

რატომღაც შინაგანად თავისუფალი პიროვნება მგონიხართ, ამან ხომ არ განაპირობა თქვენი არჩევანი–მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელობა? ბარემ თქვენს მოვალეობებზეც ცოტა რამ გვითხარით.

–სწორად შეგინიშნავთ. მეც ჩემი თავი შინაგანად თავისუფალი და უკომპლექსო ადამიანი მგონია. იმ წლების განმავლობაში სწორედ ამიტომ ვგრძნობდით თავს არაკომფორტულად არა მარტო მე, არამედ ბევრი ჩემი მეგობარიც, როცა ჩვენი აზრების გამოთქმა მხოლოდ ვიწრო წრეში შეგვეძლო.

რაც შეეხება კითხვას, რამ განაპირობა მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელად ჩემი დანიშვნა, ამაზე პასუხის გაცემა მხოლოდ ბატონ გოდერძი ბუკიას შეუძლია. რისთვის მარგუნა ასეთი პატივი და ნდობა მხოლოდ ბატონმა დეპუტატმა იცის, ამისათვის დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო მის მიმართ...

მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ამჟამად შედგება ხუთი წევრისაგან: ნინო ცხადაია–მთავარი სპეციალისტი, მაია ყაჯრიშვილი–თანაშემწე, ნინო ლიპარტია–მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ნინო ჯორჯიკია–ოფისის მენეჯერი.

ბიუროს მოვალეობაა უზრუნველყოს კოორდინაცია პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატსა და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას შორის, მუნიციპალიტეტში არსებულ სხვა სახელმწიფო თუ იურიდიულ პირებთან, მუდმივი კონტაქტი ამომრჩეველთან, მათი პრობლემების შესწავლა და დეპუტატის მეშვეობით მათი დახმარება, როგორც პირადად დეპუტატის მიერ, ასევე სხვადასხვა სამინისტროების დახმარებით, ჩვენ ორგანიზებას ვუწევთ ბატონი გოდერძი ბუკიას მიერ განხორციელებულ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებს.

ბატონო რევაზ! ბატონ გოდერძი ბუკიას ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ ოთხგზის გამოუცხადა ნდობა. ეს ფაქტი ბევრ რამეზე მეტყველებს. თქვენ ამჟამად ყველაზე ახლო პირადი და სამსახურებრივი ურთიერთობა გაკავშირებთ მასთან, როგორ შეაფასებდით მის მოღვაწეობას (რა თქმა უნდა სრულად ვერ ჩამოთვლით) და მის პიროვნულ თვისებებს?

–ეს მართლაც მრავლისმეტყველი ფაქტია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ მას ოთხჯერ მისცა პარლამენტის წევრობის ნდობის მანდატი, ეს იშვიათი შემთხვევაა, თუმცა ამ ქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება. მოსახლეობის მხრიდან ასეთი მხარდაჭერა გამოწვეულია ბატონი გოდერძის უნიკალური პირადი თვისებებით, თავისი ხალხის სიყვარულით, ქველმოქმედების კეთების უდიდესი სურვილითა და შესაძლებლობებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როლი მუნიციპალიტეტისა, და არამარტო მუნიციპალიტეტის, სულიერი აღორძინების საქმეში. მის მიერ განხორციელებული პროექტების ჩამოთვლას არ დავიწყებ, რადგან ძალიან შორს წაგვიყვანს, იგი ძირითადად განათლებასა და სულიერ აღორძინებას ეხება, ამისთვის ფონდიც კი დაარსა, საიდან დავიწყო? იმის იმედით, რომ ხალხს არაფერი ავიწყდება და ოთხჯერ მანდატის გაცემაც ამის დასტურია, განხორციელებული პროექტების ჩამოთვლას არ გავაგრძელებ. განსაკუთრებით გამოვყოფდი ორს–მეგრული სიმღერის ხობის საერთაშორისო ფესტივალს და სოფელ პირველ მაისში აშენებულ სამონასტრო კომპლექსს, რომელიც ამავდროულად პატრიარქის რეზიდენციაც არის. რითაც ბატონმა გოდერძიმ თავის საზოგადოებრივ მოღვაწეობას გვირგვინი დაადგა.

წელს საფესტივალო წელიწადია. მზადება როდის დაიწყება, დრო დადგენილია?

–ფესტივალისთვის მზადება უკვე დაწყებულია. ახალი მეგრული სიმღერების დასაწერად გამოცხადებულია კონკურსი, მიმდინარეობს კონკურსანტებისა და სიმღერების შერჩევა. როგორც ბატონი გოდერძი გვპირდება, ფესტივალი, რომელიც ჩვეულებრივად სექტემბერის ბოლოს ჩატარდება, განსაკუთრებული და ორიგინალური იქნება.

ძალიან ვეცადე (მადლობა თქვენც ასეთი თავშეკავებისთვის) ბატონ გოდერძი ბუკიას პიარი არ გამოგვსვლოდა, რადგან მას ეს არც სჭირდება და არც მოსწონს, მაგრამ ორიოდ სიტყვით მითხარით რა იქნება მომავალში. წელს დეპუტატის ხელდასმულ საქმეთაგან რას უნდა ელოდეს მოსახლეობა?

–მართალი ბრძანდებით, ბატონი გოდერძის მართლაც არ უყვარს ზედმეტი პიარი. მისი პრინციპია „საქმემან შენმან გამოგაჩინოს.“

ბატონი გოდერძი ძალიან აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურულ და სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში. მისი ძალისხმევით განხორციელდა საჯიჯაო-ჩხოროწყუს შემაერთებელი გზის მოასფალტება, ასევე ბიუჯეტში ჩასმულია და მოხდება ზუბი-ძველი ხიბულის შემაერთებელ გზაზე ასფალტის საფარის დაგება, სოფელ ქვემო ქვალონში საჯარო სკოლის მშენებლობა.

ბატონი გოდერძი ასევე აქტიურად არის ჩართული მთავრობის მიერ გამოცხადებული „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის განხორციელებაში. ამ პროგრამის ფარგლებში წელს მუნიციპალიტეტში აშენდება რამდენიმე ახალი საწარმო, მათ შორის აღსანიშნავია ნოჯიხევის მიმდებარე ტერიტორიაზე სიმინდის ზეთის გადამამუშავებელი და ქატოს ქარხნები, აგრეთვე შუა ხორგაში მეფრინველეობისა და მეცხოველეობის კომპლექსის მშენებლობა. აღნიშნულ საწარმოებში წლის ბოლომდე ორასამდე ადამიანი დასაქმდება.

კითხვა, რომელიც გამომრჩა...

–რა თვისება უნდა გააჩნდეს ხალხის სამსახურში მყოფ ადამიანს?

მე ვიტყოდი, ადამიანები, განსაკუთრებით მაღალი რანგის მოხელეები, რომლებიც მუშაობენ საჯარო სამსახურებში და ხალხთან აქვთ ურთიერთობა, უნდა იყვნენ ობიექტურნი, წინა პლანზე დააყენონ პროფესიონალიზმი, ადამიანური ურთიერთობები, მოერიდონ ერთმანეთის მიმართ არასამართლიან წყენინებას მინდა მოვუწოდო ყველას, გვიყვარდეს და პატივი ვცეთ ერთმანეთს. მე მჯერა, რომ სიყვარული გადაარჩენს, გააძლიერებს და გაამთლიანებს საქართველოს.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა.

ყვირაძეს წასაკითხი

იმედა ცარციძე-გამგებლის წარმომადგენელი ახალი სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში. დაამთავრა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლექციებს კითხულობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალში, იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის და პედაგოგთა ყოველთვიური ჟურნალის „ცისარტყელას" (ფოთი) რედაქტორი, ახალი სოფლის საჯარო სკოლაში ხელოვნების მასწავლებელი.

იმედა ცარციძის ლექსები თავდაპირველად ჩვენს გაზეთში იბეჭდებოდა, შემდეგ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში („ნობათი", „ცისკარი", „ფოთის მოამბე", „ლიტერატურული საქართველო", „ქართული კულტურა", „საქართველოს რესპუბლიკა").

იგი წიგნის „მუსიკის პოეზია" ავტორია, რომელშიც შესულია მისი ლექსები, ბრიტანელი და ამერიკელი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანები. 1998 წელს გახდა საქართველოს ახალგაზრდა მწერალთა კონკურსის გამარჯვებული. 2001 წელს კი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას" მიერ ჩატარებული მწერალთა კონკურსის მეორე პრემიის ლაურეატი.

ამჯერად, გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ იმედა ცარციძის ლექსებს.

სიზიფე

მძიმეა განცდა, როს ხსოვნაში
ჩაიძირება.
ეჰ, ამ ცხოვრებას რას გაუგებ, ჩემო
სიზიფევ,
როცა შენს ირგვლივ უცნაური ხალხი
ირევა,
და როს ქუჩებში სამუდამოდ მეფობს
სიცივე;
როცა ვიღაცა გაკვირდება შუშის
თვალებით,
როცა განთიადს უსასრულოდ
უხმობს საათი,
მოიპარება როს აჩრდილი
ნაგვიანები,
რომ გამოგტაცოს ერთადერთი გზის
მისამართიც;
როცა შენს გვერდით არც ძმაა და არც
ახლობელი,
რომელიც შენს გზას გაჰყვება და შენს
ბედს იტვირთებს,
გაბზარულია სიცივისგან გული,
რომელიც,
დიდი ხანია, დაჰკარგეს და
გამოიტირეს.
დიდი ხანია, რაც ბილიკი თოვლმა
დაფარა
და შორს დატოვე გაზაფხული შენი
ცხოვრების ...
გასწი, სიზიფევ, მოერიდე უქმად
ლაპარაკს
და განეშორე ყველა დროებითს!
თორემ ცხოვრებას რას გაუგებ,
ჩემო სიზიფევ,
გაჰყევი შენს გზას, არ ჩამორჩე
დროთა ქარავანს ...
ქუჩებში ისევ სამუდამოდ მეფობს
სიცივე
და მეგობარი არსად არა ჩანს ...

იდგა

იდგა: საოცრად მშვიდი და წყნარი
დრო წაიღებდა სიჩუმეს ვიდრე
და სანთლის შუქის ცისფერი ალი
დიდხანს ეჭირა თოვლისფერ
თითებს.
იდგა: ვერაფერს ამჩნევდა
თითქოს ...
იდგა: თვალები დაღლოდა
ფიქრით ...
და იღვრებოდა ფერადი სითბო
თვალებზე, თმებზე და თმების იქით.
იდგა: გონებას სიმტკიცე სურდა,
რომელიც თითქმის სიცოცხლეს
უდრის,
ხოლო სამყაროს იდუმალ ბრუნვას
მიჰქონდა იმ დღის ყოველი წუთი.
იდგა: საოცრად მშვიდი და წყნარი
დრო წაიღებდა სიჩუმეს ვიდრე
და სანთლის შუქის ცისფერი ალი
დიდხანს ეჭირა თოვლისფერ
თითებს ...

„ქართლის ცხოვრების" დღეებო

,,ქართლის ცხოვრების" დღეებო,
ფიქრებს ქროლვით რომ აიკლებთ,
ვაიმე, საით გეძებოთ,
გადიგრიგალეთ საითკენ?
გული სიმღერამ დაწურა,
ვით რთველმა ყურძნის მტევნები
და სულში შემოაცურა
ყიჟინი დაღლილ მხედრების.
ტაძრებს ზედ ჯვრებზე მიჰკვრია
ხსოვნა ჟღარუნა დროშების,
გავცქერ სამშობლოს, ცისკრიანს,
თქვენი კაცობით მოჭედილს;
და სისხლს საამოდ აჩქროლებს
თქვენი ხმა, თქვენი ძახილი,
დროვ, ერთხელ კიდევ დაჰქროლე,
ქარი გაჰკვეთე მახვილით.
,,ქართლის ცხოვრების" დღეებო,
ფიქრებს ქროლვით რომ აიკლებთ,
ვაიმე, საით გეძებოთ,
გადიგრიგალეთ საითკენ?

* * *

წუთისოფელი ვერაგია, ფლიდი და ავი,
მაგრამ შენ სანამ ცხოვრებისას
შეიგრძნობ ყვავილს–
ზურგს ნუ შეაქცევ აღმა–დაღმა
ავლილს და ჩავლილს,
ნურც სხვებს აყვები, ნურც აიკლებ
ქვეყანას დავით;
ნურც აჩქარდები და წუთითაც ნუ
დაახანებ,
საწუთროს ფიქრი ცეცხლს მიეც და
ქარს გაატანე
და ადამიანს, ვინც ვერ არჩევს მტერს
და მოკეთეს
შეეშვი, თუნდაც მარტოდ დარჩე,
როგორც პრომეთე.

სახლი ტბის პირას მთვარიან ღამეში

ტბას მიჰყვებოდა ბილიკი მთვარის
და ტბასთან ახლოს ქვის სახლი იდგა,
ხოლო სირბილით დაღლილი ქარი,
ხეების ჩრდილში სუნთქავდა
დიდხანს.
ღამე კი დუმდა და სიჩუმეში
ღრუბელი უხმოდ კენკავდა
ვარსკვლავს
და ხალისს მგვრიდა, როგორც ნუგეში
ანდა შეხვედრა საყვარელ ქალთან.
ხოლო დაღლილი წლებით თუ სიცხით
სახლი, რომელიც ტბის ახლოს იდგა,
დამსვენებლების ისმენდა სიცილს,
მაგრამ ყველაფერს ითმენდა მშვიდად.
და სავსე იყო სახლი ხმაურით...
ხოლო სახლის წინ ცარიელ ტბაზე
მოჩანდა ნავი, როგორც წარსული,
მიტოვებული და წლებით სავსე.
მიტოვებული ჩანდა ნაპირიც,
ცარიელ სკამებს ლოკავდა მთვარე,
და ტბაზე მდგარი ძველი ნავივით,
იდგა სახლი და ისრესდა თვალებს.

სახლი

აწვიმთ მინდვრებს და
გაქოლგილებს
აწვიმთ ხეხილებს,
ვზივარ ხის ქვეშ და
თითზე ვითვლი
ამინდებს ამ წლის,
აწვიმთ სიმინდებს
ქარისაგან გადაგრეხილებს
და, რა თქმა უნდა,
ჩემს სოფელში
ყველაფერს აწვიმს.
ყველაფერს აწვიმს!
ცა დამძიმდა,
ჰაერი გალბა.
ჩვენი ბებერი
შავი ძაღლი
ლანდს უყეფს საშიშს,
მატულობს წვიმა,
ყველაფერი სველია ახლა
და, რა თქმა უნდა,
შევდივარ სახლში.

დედას

შენ თმაში თეთრად ანთია
ჩემი ბავშვობის ფურცელი.
მე, ყოველ დილით, განთიადს
შენი თვალებით ვუცქერი.
გზას შენი ლოცვა მინათებს,
შენი ხელების ალერსი,
როგორც ვარსკვლავთა სინათლე
და მთვარე ფიქრით ნალეწი,
ან გულში ვეფხვისებურად
წამოფრენილი სიტყვები...
და წინ მიმიძღვის მეგზურად
გზაზე, რომელსაც მივყვები.

საკაძე

I

ბილიკს მიჰყვებოდა მთა–გორების,
ქალაქს გადახედა მაღლობიდან,
ძალაც აღარ ჰქონდა დაღონების,
ღამეს შეეფარა სახლობითა.
ვეღარ დააყუჩა მდუმარებით
გული–დაკორტნილი სინანულით ...
ხევში გაისმოდა გუშაგების
გადაძახილი და ჭრიამული.
მწარე ცრემლებთან და ალიონთან
ერთად ქართლის ბედიც გაიყოლა.

II

ცხენი გაქუსლა,
ხმალმა მზეზე კვლავაც იელვა,
სპარსთა გაუძღვა–
ნაცვლად ქართველ კავკასიელთა.
წელში მოდრიკა ავღანეთი, შუა აზია,
მაჯაში, თითქოს, მშობლიური
სისხლი გაცივდა.
ყოველდღე მაინც ჩაესმოდა ქართლის
ვარამი ...
გამარჯვებული ფრიალებდა სპარსთა
ალამი ...

III

მალე დაივიწყა ყველა მომდურავი,
ქართლში შემობრძანდა დიდი
მოურავი.
-მშვიდობა შენს მოსვლას, გიორგი
ბატონო!
ქართლი გაპარტახდა, არავინ
პატრონობს.
-სიცოცხლის ბოლომდე, ვფიცავ,
ვიფარავდე ...
-ეჰ, ვერ გავიგონე, ბატონო, სანამდე?

IV

დგას მეჩვიდმეტე საუკუნე ქალაქ
ჰალაბში,
შემოდგომა და უეცარი რისხვა
ალაჰის.
ეთხოვებოდა სიცოცხლის მზე
თვალებს ვეფხვისებრს,
-თქვი, მოურავო, სიკვდილის წინ ვის
ღმერთს შეჰფიცე?
. . .
ცა მდუმარებდა მწუხარებით
საქართველოსი,
გზას ადგა მაცნე ქართლოსისა და
ანგელოზი.

მუსიკა

ყოველ საღამოს,
სევდიანი როდესაც ვფიქრობ,
ვიღაც აწვალებს
პიანინოს მოგრძო კლავიშებს
და მეჩვენება,
თითქოს ვიღაც სიხარულს მიყოფს,
რომ ჩემ გულს
სევდა სამუდამოდ გადაავიწყდეს.
და ეს საღამოც
მუსიკის ფრთებს მსუბუქად მიაქვს,
როგორც გაზაფხულს
მარტის თვეში სუსხი მიმქრალი
და მეშინია,
არ დამირჩეს ფანჯარა ღია,
არ გამიჩინოს
მუსიკამაც სხვა საფიქრალი.

მაჯამა

დღე გაცვდა, ვით ჩრდილი ფრთაგაშლილ არწივის,
ქარი კი, რატომღაც, თუკი კვლავ არ წივის–
უბრალოდ ისვენებს და ჩრდილში ერთობა.
მომწყინდა ამ დღის და ამ ღამის ერთობა.
მე თვალით ვატარებ ერთადერთ იარას,
ვგრძნობ მარტი რას ფიქრობს, ან თუნდაც–ია რას.
შენს ფიქრებს ჩემსავით ვერავინ გაიგებს,
ამოვა ქარი და კვლავ ფეხქვეშ გაიგებს
სიჩუმეს ... და მერე ზღვის ხმაურს გაატანს ...
და თეთრი მოწყენა დილამდე გაატანს.
დილით კი სიმშვიდე ლურჯი მზის ფერებით
შემოსავს გაზაფხულს ზურმუხტის ფერებით.

სონეტი

ნუ დაგიმონებს წუთისოფლის ამაოება,
ბედთან ჭიდილში გაატარე ყოველი წუთი.
იყავი მტკიცე, მაგრამ გრძნობა გქონდეს სათუთი
და არასოდეს გაალმერთო კოჭლი დროება.
გაჰყევი გრიგალს, არ დანებდე მყუდრო ცხოვრებას
და სანამ თვალებს დაფარავდეს სამყარო უტყვი–
არ დაგავიწყდეს, რომ ყოველი დღე არის ქურდი
და არ ეცადო ხალხისაგან განმარტოებას.
იყავი ხალხში და ხალხისთვის იზრუნე მუდამ,
სიმართლისათვის, დაე, ჯვარზე გაგაკრან თუნდაც,
მაგრამ ამისთვის ნუ მოითხოვ სამაგიეროს.
არ გაგიტაცოს უგუნურთა ქება–დიდებამ,
დაუღალავად ემსახურე ჭეშმარიტებას,
რომ სიკეთე და სიყვარული გააძლიერო.

ინიციატივა–„საქართველო „C“ ჰეპატიტის

დავამარცხოთ „C“ ჰეპატიტი



ჯანდაცვის სისტემაში რეფორმები კვლავაც გრძელდება... ამჯერად ძალზე საყურადღებო გახდა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბატონ დავით სერგეიენკოს ახალი ინიციატივა, სლოგანით–„საქართველო „C ჰეპატიტის გარეშე“, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა, როგორც ამ სენით დაავადებულთა, ასევე საქარველოში მცხოვრებ თითოეულ მოქალაქეებს შორის.

იმედია, ეს ინიციატივა მრავალ ადამიანს გადაარჩენს!...

გთავაზობთ ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის ქალბატონ შორენა საბახტარაშვილის წერილს „C“ ჰეპატიტის დაავადების შესახებ.

–ჰეპატიტს იწვევს ვირუსი, რომელიც უპირატესად ღვიძლს აზიანებს. ბუნებრივი მიმდინარეობის დროს დაავადება იწყება მწვავედ და შემდგომ ქრონიკულ ფორმაში გადადის.

ინფექციის წყაროს წარმოადგენს მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტით დაავადებული ადამიანი. ვირუსი გადაეცემა სისხლით და სისხლის პროდუქტებით.

ამჟამად ქვეყანაში მოქმედებს „ც“ ჰეპატიტის მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მთლიანად ვერ მოიცავს ყველა დაავადებულს. მაგრამ 2015 წლის თებერვლიდან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით „ც“ ჰეპატიტით დაავადებულებისთვის ახალი პროგრამა ამოქმედდება, რომელიც ყველა ჰაციენტს შეეხება.

ჯანდაცვის ცენტრის მიერ სამუშო გეგმის შესაბამისად, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი ტარდებოდა, რომლის დროსაც მათი თანამშრომლებისთვის ტარდებოდა ლექციები „ც“ ჰეპატიტის პრევენციისთვის გასატარებელ ღონისძიებებზე, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა „ც“ ჰეპატიტის გამომწვევ მიზეზებს და გადაცემის გზებს.

„ც“ ჰეპატიტის ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ხობის რაიონიულ საავადმყოფოში მარტივი, სწრაფი ტესტ-სისტემით ხდება. ვინაიდან საავადმყოფოში არ ფუნქციონირებს ინფექციური კაბინეტი. დაავადების აღრიცხვა და სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ხდება ჯანდაცვის პირველადი რგოლებიდან და სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებიდან შემოსული შეტყობინებების საფუძველზე.

„ც“ ჰეპატიტით დაავადებული პაციენტის სრულყოფილი ლაბორატორიული გამოკვლევა ქუთაისის და თბილისის სპეციფიკურ ლაბორატორიებში წარმოებს.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას კიდევ ერთხელ მივაწოდოთ ინფორმაცია დაავადების გამომწვევი მიზეზებისა და გადაცემის გზების, პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ.

ადამიანი ინფიცირდება დაბინძურებული ნემსის შემთხვევითი ჩხვლეტისას, საერთო სამართებლის, სისხლიანი ბამბის გამოყენებისას, სხეულის სხვადასხვა ნაწილში, სამკაულების ჩამაგრებისას, სქესობრივი კონტაქტისას.

ჰეპატიტის გადაცემის გზებიდან გამომდინარე, ყველაზე ხშირად ავადდებიან:

ინტრავენური ნარკომანები და მათი სქესობრივი პარტნიორები, შეუმოწმებელი სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადასხმის შემთხვევაში, აკუპუნქტურის დროს, გაუსტერილებელი ინსტრუმენტებით კოსმეტოლოგიური მანიპულაციების შემთხვევაში (პედიკური, მანიკური, ტატუირება). ყველა ის შემთხვევაა, როდესაც ვირუსით დაბინძურებული სისხლი ერევა მეორე ადამიანის სისხლს. „ც“ ჰეპატიტით დაავადების რისკი მაღალია არა მარტო ინტრავენური ნარკომანიის დროს, არამედ კოკაინის შესუნთქვის დროსაც.

არ უნდა გამოვიყენოთ სხვისი კბილის ჯაგრისი, პირის საპარსი, რადგან ამ ნივთებზე სისხლის ნაწილაკების არსებობის ალბათობა დიდია.

ვირუსი არ გადადის ძუძუთი კვების დროს, კოღოს ნაკბენით, არ გადაეცემა ხველებით, დაცემინებით, ჭურჭლით, საკვებითა და წყლით, დაავადება არ გადადის საერთო პირსახოცით, კოცნით.

„ც“ ჰეპატიტის კლინიკური სიპტომებია: კანისა და ლორწოვანი გარსის გაყვითლება, დაღლილობის შეგრძნება, უმადობა, ცხიმიანი საკვების შეძულება, ცხელება, ოფლიანობა, გულისრევა, ზოგჯერ ღებინება, ტკივილი მუცლის არეში, წონაში დაკლება, გონების დაბინდვა, არასრულფასოვანი ძილი, ათრიტები.

აღნიშნული ჩივილები ზოგადად ღვიძლის სხვა დაავადებებსაც ახასიათებს, ამიტომ დაავადების გამოვლენის ერთადერთი საშუალება სისხლის ლაბორატორიული ანალიზია.

„ც“ ჰეპატიტის მკურნალბა საკმაოდ ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცესია. სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია დაავადებული ადამიანებისთვის უფასო მკურნალობა, რომელსაც ითვალისწინებს „ც“ ჰეპატიტის მკურნალობის შესახებ სახელმწიფო პროგრამის არსებობა და მოქმედება.

ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკა

ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს პრევენციულ და ეპიდემიოლოგიურ ღონისძიებებს როგორც სამუშაო გეგმის შესაბამისად, ასევე ეპიდემიოლოგიური საშიშროებისას. ცენტრის მუშაობაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია იმუნიზაცია მართვადი დაავადებების მიმართ. იმუნიზაცია ტარდება მრავალი დაავადების წინააღმდეგ. ესენია: „ბ“ ჰეპატიტი, ტუბერკულოზი, ყივანახველა, დიფტერია, ტეტანუსი, წითელა, ყბა-ყურა, როტავირუსული და პნევმოკოკური ინფექციები, პოლიომიელიტი და სხვა. ცენტრის მიერ სისტემატურად ტარდება ყოველთვიური მონიტორინგი ჯანდაცვის პირველად რგოლებზე პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრულ იმუნიზაციის ხარისხზე და მოცულობაზე. 2014 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარდა 0-დან 15 წლამდე ბავშვთა გეგმიური ვაქცინაცია. აცრებით მოცვის მოცულობა საკმაოდ მაღალია.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით მართვადი და არამართვადი დაავადებების გავრცელების მხრივ არის სტაბილური და დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ასევე ადგილი არ ჰქონია განსაკუთრებით საშიში დაავადებების–ცოფის, ჯილეხის, დიფტერიის, ტეტანუსის და სხვათა არცერთ შემთხვევას.

2013 წელს „ქ. თბილისში წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 მარტის №221 განკარგულების და „საქართველოში წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატრარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის №273 განკარგულების შესაბამისად, ცენტის მიერ ჩატარდა აუცრელი და არასრულად აცრილ ბავშვთა კონტიგენტის დაზუსტება და მათი აცრა წითელა-წითურას, ყბა-ყურას საწინააღმდეგოდ. ჩატარებული ღონისძიებების შედეგად იკლო მოსახლეობის წითელათი დაავადების რაოდენობამ.

„2012 წელს ჯანმრთელობის დავცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებით, დამტკიცებული ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ჯანდაცვის ცენტრის მიერ ჩატარდა ტუბერკულოზის მგბ+ფორმით დაავადებული ადამიანების კერების ეპიდკვლევა, კონტაქტირებული ადამიანების სკრინინგული გამოკვლევა ტუბერკულოზზე.

2013 წელს ადგილი ჰქონდა ტუბერკულოზის მგბ+ფილტვის ფორმით ადამიანთა დაავადების 19 შემთხვევას, 2014 წელს 16 შემთხვევას. როგორც ზემოთხსენებულიდან ჩანს, ადგილი აქვს სამი ერთეულით დაავადების კლებას. თითოეულ კერაში პაციენტთან და მათი ოჯახის წევრებთან ჩატარებულია საუბარი ტუბერკულოზის პროფილაქტიკის შესახებ. ჯანდაცვის ცენტრი აგრეთვე ახორციელებს ტუბერკულოზით დაავადებული ციხეებიდან განთავისუფლებული პატიმრების და შეწყვეტილი მკურნალობის მქონე პაციენტების ეპიდზედამხედველობას ტუბსაწინააღმდეგო სტანდარტული მკურნალობის გაგრძელების უზრუნველსაყოფად და სამოქალაქო სექტორში დაავადების ტრანსმისიის (გავრცელების) რისკის შესამცირებლად.

ჯანდაცვის ცენტრის მიერ 2014 წლის ოქტომბერში ჩატარდა მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ. ზემოთხსენებულ დაწესებულებებში ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარ-ჩვევების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული იყო საუბრები პირადი ჰიგიენის წესების დაცვის, ჯანსაღი კვების, პროფილაქტიკური აცრების მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ.

სტატისტიკური მონაცემებით, 2014 წელს 2013 წელთან შედარებით, ადგილი ჰქონდა ინფექციური დაავადებების კლების ტენდენციას. 2015 წლის დასაწყისში, თებერვალ-მარტის თვეში მოსალოდნელია ზემო-სასუნთქი გზების დაავადებების და გრიპის მცირედით მატება.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპლიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი-პროფილაქტიკოსი.

ხსოვნა

ხუტუ (ხარიტონ) გადელია

უკვე 10 წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი, დატოვე შენი საყვარელი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, მაგრამ ჩვენ არასოდეს დაგივიწყებთ, რადგან შენი დავიწყება შეუძლებელია, შენ ღირსეულად მოიხადე ცხოვრების ვალი, დატოვე დიდი ოჯახი. ჩვენ ბევრი ვისწავლეთ შენგან და მუდამ ვიცხოვრებთ ისე, როგორც გვასწავლიდი.

რაც დრო გადის, მონატრება უფრო ძლიერდება. მონატრებაზე ძნელი, სიკვდილზე შემზარავი ამ ქვეყნად არაფერი ყოფილა. ჩვენ ღმერთს ვევედრებით შენს სახელზე დანთებულმა სანთლებმა სამუდამო სასუფეველში გზა გაგინათოს. მსუბუქი იყოს შენს გულზედ დაყრილი მიწა.

უზომოდ გვაკლია შენი კეთილი გული, სულით მდიდარი, სიყვარულით სავსე ადამიანი იყავი, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

წახვედი ჩვენგან, მაგრამ დატოვე კაცური კაცის სახელი, შენნაირი ადამიანები გარდაცვალებიდან დიდხანს ცხოვრობენ. ყოველი წლის 28 იანვარს შენს გასახსენებლად ყველანი შენს საფლავთან ვიკრიბებით.

გვიყვარხარ, გვენატრები!

შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, რძლები, სიძეები.

ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის კოლექტივი იუწყება ყოფილი თანამშრომლის
ლამზირა კაკულია-ყოლბაიას
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აუქციონი

დანართი №1

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს №1 დანართის შესაბამისად.

№	ქონების დასახელება	სარეგისტრაციო ნომერი	გამოშვების წელი	ფერი	ტიპი	გასაყიდი ფასი	„ბე“ 10%	„ბიჯი"	ბილეთის ფასი	შემოსულობების სახაზინო კოდი
1	ა/მანქანა „ფორდ მონდეო1,8"	NAA 876	1994	ლურჯი	ჰეტჩბეკი	762	76,20	76,20	20	300403332
2	რენო-მეგანი	MCM-514	1997	ლურჯი 7/8		1024	102.40	102.40	20	300403332

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2015 წლის 17 თებერვალი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები:ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–200122900, მიმღები ბანკი –სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი - 220101222.

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინაამღდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“- ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე?“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა

გვწერენ

სიკეთე არ იკარგება

შ.პ.ს. შავი ზღვის ტერმინალის გენერალურ დირექტორს ბატონ კარიმ გულიევს

ბატონო კარიმ!

თქვენ უკვე ტრადიციად აქციეთ გაჭირვებული და უნუგეშო ადამიანებისადმი თანადგომა. ყოველთვის, როგორც კი საშუალება მოგეცემათ, მხარში უდგახართ მათ, ზრუნავთ მათზე. ასე გრძელდება წლიდან წლამდე.

ასე მოხდა წელსაც, თქვენ ერთი დღე გაულამაზეთ ხობის სათნოების სახლის 120 ბენეფიციარს, მხარში ამოუდექით, აგრძნობინეთ, რომ ქვეყნად არსებობენ კეთილი საქმის მკეთებელი ადამიანები, რომლებსაც არ ავიწყდებათ გაჭირვებაში, უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი ადამიანები.

ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც უკიდურესად ცუდი სოციალური პირობები გააჩნიათ, ვფიქრობთ, რომ ისინი ცხოვრებამ არ დაინდო, მათ შორის არიან შვილმკვდარი დედები და მცირეწლოვანი ბავშვები, რომლებისთვისაც მცირე დახმარებასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მატერიალურად, ასევე სულიერად.

გვიხარია, რომ საქართველოში არსებობენ ადამიანები, რომლებიც სულ მუდამ სიკეთის ქმნაში არიან.

დიდი მადლობა მხარდაჭერისათვის.

ბენეფიციართა სახელით

სათნოების სახლის ადმინისტრაცია.

ინკლუზიური განათლება—პერსპექტივა და გამოწვევები

ბოლო წლებში განსაკუთრებული საჭიროების მქონე (გსმ) ბავშვების განათლების სფეროში მრავალი ცვლილება მოხდა. დროთა განმავლობაში დაიხვეწა, დამოკიდებულებები და შეხედულებები ამ პირების მიმართ.

ეს ცვლილებებია:

- ბავშვების განვითარების და მათი პრობლემების, საჭიროებების და შესაბამისი სწავლების ფორმის გაცნობიერების დონე;
- მრავალფეროვნების აღიარება და დაფასება, როგორც დემოკრატიის განვითარების თანმდევი პროცესი.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ ცვლილებებს მოყვა, არის ის, რომ მოხდა მრავალფეროვნების აღიარება, დაფასება და ნორმად მიღება. ბავშვები შეიძლება იყვნენ განსხვავებულნი მრავალი მიზეზის გამო (სოციალური, რელიგიური, ეთნიკური, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, კულტურული, ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული).

განსხვავებულობა ხშირად ხდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი წინაპირობა, განმაპირობებელი ფაქტორი იმ სიძნელეებისა, რომლებსაც ბავშვები აწყდებიან სწავლის, განვითარების და საზოგადოებრივ საქმიანობებში აქტიური ჩართვის პროცესში. ამ შემთხვევაში, პრობლემების გამომწვევ მიზეზად გვევლინება გარემო, რომელსაც არ ძალუძს ამ ბავშვების განსაკუთრებული საჭიროებების დაკმაყოფილება.

საქველმოქმედო ორგანიზაციებმა, ასევე რელიგიურმა ჯგუფებმა, დროთა განმავლობაში გახსნეს სპეციალური თავშესაფრები როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, ისე ზრდასრულებისთვის. სკოლა-ინტერნატებსა და სხვადასხვა ტიპის თავშესაფრებში არსებულ მდგომარეობაზე მრავალგზის დაკვირვებამ აჩვენა, რომ ასეთ დაწესებულებებში მყოფ ბავშვებსა და მოზრდილებს უვითარდებათ გაუცხოებული ადამიანისთვის დამახასიათებელი ქცევები, ხდებიან პასიურები, მიმართავენ თვითსტიმულაციას, ახასიათებთ სტერეოტიპული, განმეორებადი და საკუთარი თავისთვის ზიანის მომტანი ქმედებები.

ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს არაერთი საერთაშორისო კონფერენცია და სხდომა მიეძღვნა. დეკლარაცია, რომელსაც ეყდრნობა ინკლუზიის ძირითადი უფლებები და დებულებები არის სალამანკას დეკლარაცია (UNESCO, 1994), რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- ყველა ბავშვს აქვს უფლება ისწავლოს ინკლუზიურ კლასში;
- ყველა ბავშვი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ბავშვებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესში, რათა მოხდეს მისი ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება;
- ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა და ხელშეწყობა სათანადო პირობებით უზრუნველყოფს მასში ჩართულ ბავშვებს;
- ინკლუზიური განათლება განაპირობებს ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას.

მიუხედავად დახვეწილი საკანონმდებლო სივრცისა, ინკლუზიურ განათლებაში არსებული პრობლემები ისევ პრობლემებად რჩება. სირთულეებთან გამკლავება უფრო კომპლექსური პროცესია და მისი სწორი მიმართულებით წარმართვის აუცილებელ პირობებს წარმოადგენს:

- შშმ პირთა მიმართ დამოკიდებულების შეცვლა;
- გარემოს შეცვლა, შეფასების, სწავლების ფორმებისა და კლასის მართვის სტრატეგიების შეცვლა;
- მოსწავლის სკოლაში სიარულის მიზნების რეორიენტაცია;
- მასწავლებლის როლისა და ადამინური რესურსების განსაზღვრა ინკლუზიის პროცესში;
- აკადემიურიური პერსონალისთვის, განსაკუთრებით კი მასწავლებლებისთვის პროფესიული დახმარების აღმოჩენა.

მოსწავლის შესაძლებლობების მრავალმხრივი განვითარებისთვის, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემამ შეიმუშავა განათლების მარეგულირებელი დოკუმენტი –ეროვნული სასწავლო გეგმა. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია მოსწავლეთათვის აუცილებელი მიღწევები, ცოდნა და უნარ–ჩვევები, რომელთაც ისინი თანმიმდევრულად უნდა ეუფლებოდნენ ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებს მიაღწიოს (თუნდაც ნაწილობრივ), მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესი მოსწავლის თავისებურების გათვალისწინებით დაიგეგმოს და მოსწავლისთვის მისაღწევი სასწავლო შედეგები ინდივიდუალურად განისაზღვროს. შედეგად ყალიბდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოადგენს მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებაზე მორგებულ დოკუმენტს, რომელიც ადგენს სასწავლო მიზნებს და მათი მიღწევის გზებს. დგება საკითხი, რამდენად მიზანშეწონილია მოსწავლე ხელმძღვანელობდეს ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული დოკუმენტით? პირველ ეტაპზე რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმის აკომოდაცია, რაც მცირეოდენ ცვლილებებს გულისხმობს სწავლების პროცესში, თუმცა შესაძლოა საჭირო გახდება მიზნების ძირეული ცვლილებები, რადგანაც მოსწავლე ვერ ძლევს მისი ასაკისთვის შესაბამის ამოცანებს. ოპტიმალური გამოსავალია, ბავშვი სარგებლობდეს იმავე წიგნით, რითაც მისი თანაკლასელები, მაგრამ ორიენტირებული იყოს უფრო დაბალი კლასის სასწავლო აქტივობებსა და შედეგებზე. მასწავლებელმა უნდა შეძლოს თანაკლასელების მსგავსი სახელმძღვანელოთი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე განსხვავებულ შედეგზე გაიყვანოს.

კითხვარმა „გზა ინკლუზიისკენ - ბარომეტრი“ გამოავლინა რა მიმართებაშია ინკლუზიური განათლების განვითარების მხრივ საქართველო ევროპის სხვა ქვეყნებთან. ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი საკანონმდებლო ბაზის თვალსაზრისით საქართველო გერმანიის მსგავსად ნაწილობრივ მხარდამჭერთა რიცხვში მოხვდა. ზოგიერთი ევროპული ქვეყნისგან განსახვავებითა საქართველოში ზოგადი განათლება არის უფასო, რაც ზრდის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების სწავლების შესაძლებლობას, მათ ამისთვის უფასო სახელმძღვანელოები ურიგდებათ. ზოგადი განათლების კანონის და ეროვნული სასკოლო გეგმის (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2013) შესაბამისად, არცერთი ბავშვი არ არის შეზღუდული განათლების მიღებაში შესაძლებლობების მიუხედავად. თუმცა, პრაქტიკულ დონეზე ლაფსუსები მაინც არსებობს. კერძოდ, არ არის დაზუსტებული ზოგადი განათლების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა, პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა და სხვა. თუმცა, მხოლოდ დოკუმენტაციით არ შემოიფარგლება ამ პირების პრობლემები. სამთავრობო გეგმაში (“შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2013-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა“) გაწერილ იქნა შშმ პირებისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების, დისკრიმინაციის აკრძალვის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართვის, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული გარემოს მოწყობის, უკვე გადადგმული ნაბიჯების (ინდიკატორების) და შემდგომი მონიტორინგის შესახებ.

მარიამ ქაცარავა,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტი–ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.